ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032602997-03
თარიღი: 29.01.2026 17:07
ვადა: 02.03.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260293099 განცხადების თარიღი: 29.01.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

დადგენილების პროექტის წარდგენის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032602997-03
29.01.2026 : 17:07
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01260293099**
თარიღი: **29/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 26.110.131
29 / იანვარი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>დანართი</u>

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

2026 წლის ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268[2] მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები (შემდგომში - წესი) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე/საჯარიმო ქვითარზე/დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების და გაცნობის წესს და პირობებს.

2. წესი ვრცელდება იმ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელ საჩივრებსაც იხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

3. წესის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ სახდელზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის პრევენცია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებული ტერმინები წესის მიზნებისთვის განიმარტება შემდეგნაირად:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

ბ) სამართალდამრღვევი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი;

გ) ადმინისტრაციული სახდელი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი;

დ) ადმინისტრაციული საჩივარი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჩივარი;

ე) გადაწყვეტილება - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე/საჯარიმო ქვითარზე/დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) სამსახური - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური.

2. ამ წესში გამოყენებული სხვა ტერმინები, რომელიც არ არის განმარტებული ამ მუხლით, განიმარტება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 3. გადაწყვეტილების გაცნობა

1. სამართალდამრღვევისათვის გადაწყვეტილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, პირადად გადაცემით ან ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე ერთჯერადად გაგზავნით.

2. ოფიციალურ გაცნობის მიზნით გადაწყვეტილების პირადად გადაცემას ან გაგზავნას ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე უზრუნველყოფს სამსახური, გადაწყვეტილების გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.

3. გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ეს პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი ჩაიბარებს გზავნილს, ხოლო თუ აღნიშნული პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე, გზავნილის მიმტანი უფლებამოსილი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და ეს ჩაბარებად მიიჩნევა.

4. თუ გადაწყვეტილების ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გზით ჩაბარება ვერ მოხერხდა ან მისი გაგზავნა შეუძლებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებულად და შესაბამისად გაცნობად მიიჩნევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 4. გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება

1. გადაწყვეტილების განთავსებას მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - **Decisions.tbilisi.gov.ge** უზრუნველყოფს სამსახური. გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერიისათვის ცნობილი გახდება, რომ გადაწყვეტილების გაცნობა სამართალდამრღვევისათვის ვერ მოხდა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების შესაბამისად.

2. გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსებისას უნდა მიეთითოს საჩივრის ნომერი, განთავსების თარიღი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 7 თვის განმავლობაში.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

ამ წესით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაცნობის წესი, ასევე გავრცელდეს ამ წესის ამოქმედებამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით (17.12.2025წ. N1286-IVმს-XIმპ) (შემდგომში - კანონი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (შემდგომში - კოდექსი) შეტანილ იქნა ცვლილება და კოდექსს დაემატა 268[2] მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისთვის წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის წესი.

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს სწორედ ამ წესს. წესის მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ სახდელზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის პრევენცია.

წესის პირველ მუხლში ასახულია წესის ზოგადი დებულებები, წესის საფუძველი, მიზანი, რეგულირების სფერო.

მე-2 მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებებს.

მე-3 მუხლში ასახულია გადაწყვეტილების გაცნობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, აღნიშნულია რომ სამართალდამრღვევისათვის გადაწყვეტილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, პირადად გადაცემით ან ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე.

აქვე დაზუსტებულია, რომ ოფიციალურ გაცნობის მიზნით გადაწყვეტილების პირადად გადაცემას ან გაგზავნას ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე უზრუნველყოფს იურიდიული საქალაქო სამსახური. მას ამისათვის ეძლევა გონივრული ვადა, გადაწყვეტილების გამოცემიდან არაუგვიანეს 7 დღე.

ეს მუხლი, კანონიდან გამომდინარე ასევე აზუსტებს, რომ გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ეს პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი ჩაიბარებს გზავნილს, ხოლო თუ აღნიშნული პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე, გზავნილის მიმტანი უფლებამოსილი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და ეს ჩაბარებად მიიჩნევა. ხოლო თუ გადაწყვეტილების ჩაბარება ამ გზით ვერ მოხერხდა ან მისი გაგზავნა შეუძლებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებულად და შესაბამისად გაცნობად მიიჩნევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მე-4 მუხლში ასახულია გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების პირობები და ვადა. ოფიციალური გვერდის მისამართი იქნება **Decisions.tbilisi.gov.ge.** აქვე ზუსტდება, რომ გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება არაუგვიანეს 10 დღისა მას შემდეგ, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერიისათვის ცნობილი გახდება, რომ გადაწყვეტილების გაცნობა სამართალდამრღვევისათვის ვერ მოხდა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 7 თვის განმავლობაში.

მე-5 მუხლში მოცემულია გარდამავალი დებულებები, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული წესით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაცნობის წესი, ასევე ვრცელდება ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წესის ამოქმედებამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>დანართი</u>

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

2026 წლის ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268^2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები (შემდგომში - წესი) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე/საჯარიმო ქვითარზე/დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების და გაცნობის წესს და პირობებს.

2. წესი ვრცელდება იმ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელ საჩივრებსაც იხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

3. წესის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ სახდელზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის პრევენცია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებული ტერმინები წესის მიზნებისთვის განიმარტება შემდეგნაირად:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

ბ) სამართალდამრღვევი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი;

გ) ადმინისტრაციული სახდელი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი;

დ) ადმინისტრაციული საჩივარი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჩივარი;

ე) გადაწყვეტილება - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე/საჯარიმო ქვითარზე/დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) სამსახური - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური.

2. ამ წესში გამოყენებული სხვა ტერმინები, რომელიც არ არის განმარტებული ამ მუხლით, განიმარტება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 3. გადაწყვეტილების გაცნობა

1. სამართალდამრღვევისათვის გადაწყვეტილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, პირადად გადაცემით ან ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე ერთჯერადად გაგზავნით.

2. ოფიციალურ გაცნობის მიზნით გადაწყვეტილების პირადად გადაცემას ან გაგზავნას ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე უზრუნველყოფს სამსახური, გადაწყვეტილების გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.

3. გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ეს პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი ჩაიბარებს გზავნილს, ხოლო თუ აღნიშნული პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე, გზავნილის მიმტანი უფლებამოსილი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და ეს ჩაბარებად მიიჩნევა.

4. თუ გადაწყვეტილების ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გზით ჩაბარება ვერ მოხერხდა ან მისი გაგზავნა შეუძლებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებულად და შესაბამისად გაცნობად მიიჩნევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 4. გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება

1. გადაწყვეტილების განთავსებას მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - **Decisions.tbilisi.gov.ge** უზრუნველყოფს სამსახური. გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერიისათვის ცნობილი გახდება, რომ გადაწყვეტილების გაცნობა სამართალდამრღვევისათვის ვერ მოხდა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების შესაბამისად.

2. გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსებისას უნდა მიეთითოს საჩივრის ნომერი, განთავსების თარიღი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 7 თვის განმავლობაში.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

ამ წესით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაცნობის წესი, ასევე გავრცელდეს ამ წესის ამოქმედებამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით (17.12.2025წ. N1286-IVმს-XIმპ) (შემდგომში - კანონი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (შემდგომში - კოდექსი) შეტანილ იქნა ცვლილება და კოდექსს დაემატა 268^2 მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისთვის წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის წესი.

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს სწორედ ამ წესს. წესის მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ სახდელზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის პრევენცია.

წესის პირველ მუხლში ასახულია წესის ზოგადი დებულებები, წესის საფუძველი, მიზანი, რეგულირების სფერო.

მე-2 მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებებს.

მე-3 მუხლში ასახულია გადაწყვეტილების გაცნობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, აღნიშნულია რომ სამართალდამრღვევისათვის გადაწყვეტილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, პირადად გადაცემით ან ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე.

აქვე დაზუსტებულია, რომ ოფიციალურ გაცნობის მიზნით გადაწყვეტილების პირადად გადაცემას ან გაგზავნას ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე

უზრუნველყოფს იურიდიული საქალაქო სამსახური. მას ამისათვის ეძლევა გონივრული ვადა, გადაწყვეტილების გამოცემიდან არაუგვიანეს 7 დღე.

ეს მუხლი, კანონიდან გამომდინარე ასევე აზუსტებს, რომ გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ეს პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი ჩაიბარებს გზავნილს, ხოლო თუ აღნიშნული პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე, გზავნილის მიმტანი უფლებამოსილი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და ეს ჩაბარებად მიიჩნევა. ხოლო თუ გადაწყვეტილების ჩაბარება ამ გზით ვერ მოხერხდა ან მისი გაგზავნა შეუძლებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებულად და შესაბამისად გაცნობად მიიჩნევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მე-4 მუხლში ასახულია გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების პირობები და ვადა. ოფიციალური გვერდის მისამართი იქნება **Decisions.tbilisi.gov.ge.** აქვე ზუსტდება, რომ გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება არაუგვიანეს 10 დღისა მას შემდეგ, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერიისათვის ცნობილი გახდება, რომ გადაწყვეტილების გაცნობა სამართალდამრღვევისათვის ვერ მოხდა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 7 თვის განმავლობაში.

მე-5 მუხლში მოცემულია გარდამავალი დებულებები, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული წესით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაცნობის წესი, ასევე ვრცელდება ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წესის ამოქმედებამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.